სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საკითხები გასაუბრებისთვის

1. **საჯარო მმართველობა:**
   • საქართველოს საჯარო მმართელობის სისტემა;
   • საჯარო მმართველობის დონეები, მათი პასუხისმგებლობის სფეროები და უფლებები;
   • საჯარო მმართველობის ორგანოთა კონტროლის მექანიზმები (დონეების მიხედვით).
2. **პერსონალის მართვა:**
   • როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის ეფექტურობაზე პერსონალის მიმართ მოქმედი სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები;
   • პერსონალის პროფესიონალიზმი, მისი განვითარება, შენარჩუნება და სწორი გამოყენება;
   • პერსონალის მართვის ეთიკური საკითხები, ორგანიზაციის კულტურა.
3. **ეროვნული უსაფრთხოება:**
   • ეროვნული უსაფრთხოების ელემენტები;
   • სამხედრო ძალა, მისი პასუხისმგებლობის სფერო და მისი კონტროლის მექანიზმები;
   • კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.
4. **ორგანიზაციის მართვა:**
   • ორგანიზაციის მართვა, უფლებამოსილების დელეგირება, პასუხისმგებლობების განსაზღვრა და კონტროლის განხორციელება;
   • ორგანიზაციის ტრანსფორმაცია, მისი დაწყების წინაპირობა;
   • გუნდური მუშაობის პრინციპი, გუნდის შექმნა და მისი განვითარება.
5. **საინფორმაციო კამპანია:**
   • საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია;
   • სტრატეგიული კომუნიკაცია;
   • სახელმწიფო მოხელეს კომუნიკაცია მასმედიის წარმომადგენლებთან.
6. **ეროვნული რესურსები:**
   • რა არის ეროვნული რესურსი;
   • ეროვნული რესურსების მართვასადაკონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები;
   • ეროვნული რესურსების სტრატეგიის მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განვითარებისთვის.
7. **ეკონომიკა:**
   • ეკონომიკის ადგილი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განვითარებაში;
   • დასაქმების პოლიტიკა, მისი ზეგავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე;
   • აუდიტის მნიშვნელობა ორგანიზაციის გამართული მუშაობისთვის.

კანდიდატი წარმოდგენილი თემებიდან პირადი სურვილით ირჩევს 2 თემას განსახილველად, თითოეული თემა მოცემული ქვესაკითხებით შეფასდება **მაქსიმუმ 4 ქულით, სულ 8 ქულა.** კანდიდატი დადებითად შეფასდება **მინიმუმ 4 ქულის** მიღების შემთხვევაში (თითოეული თემაში **მინიმუმ 2** ქულის მიღების შემთხვევაში).

კანდიდატის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

4 ქულა: პასუხი სრულია; აქცენტები სწორად არის დასმული. კანდიდატი ზედმიწევნით ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

3 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ მცირეოდენი ხარვეზებით; არსებითი შეცდომა არ არის; კანდიდატი კარგად ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

2 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად; კანდიდატი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება შეცდომები.

1 ქულა: პასუხი არასრულია; კანდიდატს აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და უჭირს არჩეული საკითხზე პასუხის გაცემა.
0 ქულა: პასუხი არ არის საკითხის შესაბამისი ან საერთოდ არაა მოცემული.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;
3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
4. კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“;
5. გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები. თბ. „დიოგენე“, 2000 წ;
6. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
7. საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“;
8. სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო, დამტკიცებული მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბერს;
9. საქართველოს კანონი ინფრომაციული უსაფრთხოების შესახებ;
10. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია;
11. საკანონმდებლო აქტები და ეკონომიკური პოლიტიკის ოფიციალური დოკუმენტები.